

ჯანსუდ კორძაიას პოეზია

(“მან პოეტური არდარიდებითსამყაროს შრეთა ასწია ფარდა”)

ჯანსუდ კორძაიამ ქართული პოეზია დამუხტა ბევრი ისეთი ფილოსოფიური პრობლემით, რომლებიც მანამდე თითქმის არ დასმულა ჩვენში. ამით მან, შეიძლება თამამად ითქვას, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნული ფილოსოფიური ლირიკა, გულისა და გრძნობის, ფიქრისა და ოცნების ქურაში გამოატარა გონი თუ ლოგოსი, განსჯა თუ საზრისი, ყოფიერება თუ გაუცხოება და ყოველივე ეს გაიაზრა, როგორც თვითონ ამბობს, „ზდაპრის ლოგიკით“. სწორედ ამ „ზდაპრის ლოგიკამ“ გახადა შესაძლებელი ის, რომ უამრავი ახალი მხატვრული სახე, შედარება, მეტაფორა, ეპითეტი გაჩენილიყო მის პოეზიაში. მკითხველი რომ დავარწმუნოთ ნათქვამის ჭეშმარიტებაში, რამდენიმე მაგალითს გამოვყოფ საგანგებოდ:

„შენ მიაბიჯებ – უთვალავ მზეში,
ულურჯეს მწუხარში, უთეთრეს თოვლში,
შენი ხილვებით სავსე სივრცეში
და შენი ლტოლვით ფრთაასხმულ დროში“
(„გერ დამიმონებ“)

ან

„ანთია გრემი ქედანის ფერში,
მწუხარის ფერს ერთვის ნანგრევის ფერი“
(„გრემი“)

ან

„...და ფოთლებს რჩებათ სულ ერთი, მაგრამ
უსაზღვრობაში გაფრენის წამი.“

(“შემოდგომა”)

ჯანსუდ კორძაიას პოეზიაში მრავალია ისეთი ლექსი, რომელიც “საგანმანათლებლო მისით” მოეახლება მკითხველს. ამ ლექსებში მნიშვნელოვანი სიბრძნე, წინაპართა გამოცდილება იქნება ეს თუ სამყაროს პიროვნული ჭვრეტით ხელახლა აღმოჩენის და გააზრების შედეგი, მაღალი მხატვრული ოსტატობით და აღსაქმნელად მარტივი ფორმით არის მოცემული:

“რად, რად არ ახსოვს, რომს ის ტრიუმფი?
მცხეთა კი.... ისევ თვალნათლივ ხედავს:
რომს, ძლევის ნიშნად მზე რომ მიუძღვის,
და შურისგებად წამომდგარ მცხეთას.
(”რად, რად არ ახსოვს?“)

პატარა ქვეყნის მთელი ტრაგიზმია ჩატეული ამ ერთ სტროფში. რომის იმპერია გადაეგო, მცხეთის გადაწვის დახსომების გარეშე გადაეგო.... დღევანდელ იმპერიებს რამდენად ახსოვს (ეხსომება) პატარა საქართველო?!

ან თუნდაც ასეთი სტროფი:

„ვატერლოოზე დუმს საუკუნე,
ვით ობელისკი, მწუხარე სახით,
და მტვრად ქცეულებს სძინავთ უკუნეთს,
ავანგარდების ცეცხლსა და მახვილს.
და ეს დუმილი, ცისკენ წასული,
არის ბილინგვა განგების ნების,
ეპიტაფიაც მძლეველი სულის,
ეპიტაფიაც დაძლეულ ვნების.“

(”ვატერლოოზე დუმს საუკუნე“)

”ყველა თეზა თავის თავშივე შეიცავს ანტითეზას“ – ოდითგანვე ცნობილი ჭეშმარიტებაა. და მაინც, ამ სტრიქონების წაკითხვისას გაოცდები იმის მოულოდნელი აღმოჩენით, რომ დიდი დამარცხების სინონიმად აღიარებული „ვატერლოო“, შეიძლება თურმე დიდი გამარჯვების სიმბოლოც იყოს. ესაა მხოლოდ, დიდი გამარჯვებაცა და დიდი დამარცხებაც ყოველთვის „დროით“ და „ეროვნულ“ კონტექსტშია გაასაზრებელი, რადგან ჟამთასვლა იმასაც დაადასტურებს, რომ დღევანდელი გადასახედიდან:

„ვატერლოოზე დუმს დრო და ფრთხილად
ჟამი დუმილში ბილინგვას შიფრავს,
და რაც ორივეს რგებია წილად,
მხოლოდ და მხოლოდ შენდობას ნიშნავს.“

(”ვატერლოოზე დუმს საუკუნე“)

ვ. კორპაიას პოეზიაში დასმულია ისეთი მარადიული ფილოსოფიური კითხვები, როგორიცაა: ვინ ვარ მე, როგორც ადამიანი? რაში მდგომარეობს ადამიანური სიცოცხლის საზრისი, არის თუ არა სამყარო შემეცნებადი? რა არის გონი, განსჯა, გონება, სული, ოცნება, ფიქრი? საითკენ მიდის კაცობრიობა და როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე? რა არის სიყვარული? რაზე ფიქრობდა პამლეტი, მართალი იყო თუ არა ეკლესიასტე? რა არის, ვისთვის არსებობს და ვისთვის არ არსებობს დრო და სივრცე? რატომ დაკარგა სამყარომ გონი და შევძლებოთ თუ არა გონდაკარგული სამყაროს წვდომას? რატომ აწამებს ადამიანებს გაქრობის შიში და რითი უნდა გადალახოს იგი? კანტი ამბობდა: ფილოსოფოსი ის კი არ არის, ვინც ფილოსოფია იცის, არამედ ის, ვისაც სამყაროს არსში ჩაწვდომა

სურსო. ჯანსუდ კორძაიას აქვს დაუოკებელი სურვილი „სამყაროს შრეთა ასწიოს ფარდა“, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება მუდამ თან სდევდეს ”გაქრობის შიში“:

„მაინც გაწამებს გაქრობის შიში,
არარაობის პირდაპირ დგახარ,
გაწამებს პირველ და ბოლო ფიქრში
შეუცნობელი: ვინ ხარ და რა ხარ?“
(„გერ დამიმონებ“)

დიახ, შეუცნობელია ადამიანისათვის: ვინ არის ან რა არის იგი, მაგრამ ამის გამო ამ კითხვისადმი ინტერესი არც განელებია და არც ოდესმე გაუნელდება. ეს ის მარადიული კითხვაა, ჯერ კიდევ სოკრატედან რომ იღებს სათავეს („შეიცან თავი შენი“) და დღემდე მოდის:

„არც არაფერი ვიცი,
არც იმედი მაქვს რამის,
გერ გამოვტაცე დრო-ჟამს
ნაოცნებარი წამი
და შეუწყვეტელ ფიქრში
მაწამებს სულის გმინვა,
ვით დაუმცხარალი ექო,
ვინ ვარ, ვინ ვარ და ვინ ვარ?“

(„წარწერა კანტის „წმინდა გონების კრიტიკაზე“)

ეს კითხვა ლაიტმოტივად მიჰყვება მთელ მის პოეზიას. საკუთარი „მე“-ს, საკუთარი თავის შემეცნების პრობლემების მხატვრულ გამოსახვას დიდი ადგილი ეთმობა მის ლექსებში. პირველი, რაც ადამიანმა იცის თავის თავის შესახებ, ის არის, რომ იგი ისეთი არსებაა, რომელსაც არ ასვენებს თავისი სიცოცხლის საზრისის, საკუთარი „ყოფნის ფესვების“ შეცნობის სურვილი, ანუ სამყაროს ულრმეს შრეებში შედწევის სურვილი. და მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ამ სურვილს აღისრულებს, როცა მისი აზრი და განსჯა, ფიქრი და ოცნება სინამდვილის დასაბამს, ანუ სამყაროსეულ პირველმიზებს მიაგნებს, ადამიანიც მიწვდება თავის თავს, ამოიცნობს და გაიგებს საკუთარ „მე“-ს. ეს ძიება დაგვირგვინდება იმით, რომ პოეტი ჩაწვდება სამყაროს არსებას, დაინახავს, რომ ამ სამყაროს ღვთიური განგებით ქმნის ადამიანის აზრი, ფიქრი, ოცნება, გასჯა. გვხიბლავს პოეტისეული ქებათა-ქება აზრისა:

„შენ ქმნი სამყაროს! ღვთიურ განგებით,
აზრო, და ნათლის სვეტად ენთები,
და ელგარებენ შენი ტაძრები,
როგორც სამყაროს ევერესტები“.
(„მე ჩემს თავს ვეძებ . . .“)

კ. კორძაია ახერხებს სამივე დროითი განზომილების - წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთ მთლიანობაში აღქმასა და გააზრებას. თითქოს ყოველივეზე შეიძლება ითქვას “ეს უკვე იყო და ბევრჯერ იყო” და, მიუხედავად ამისა, მაინც ყოველთვის ”რაღაც აკლია ამ სინამდვილეს”, ან უფრო მეტიც, “ჯერ კვლავ შორსაა ის სინამდვილე, რომელსაც ფიქრში ხედავ და ხატავ”.

პოეტი ადვილად ახერხებს წარსულის ლაბირინთებში იმოგზაუროს და შემდეგ დღევანდელი გადასახედიდან დასვას ფილოსოფიური შეკითხვა” ”სად არის ზღვარი”?

“სად არის ზღვარი! სად? სად? მიზანში?
ზღვარი – სურვილში? ზღვარი – ვნებაში?
შემართებაში? გახსნილ ცისკარში?
დაცემაში და ამაღლებაში?
და მეკარგება დრო და საზღვარი
შენ სად თავდები, მე სად ვიწყები,
და რეკავს ჩემი და შენი ზარი,
რეკავს ერთად და თავდავიწყებით”. . .
(”წარსულში როგორც ჟამთა ნანგრევში”)

და მოულოდნელი მაგრამ თითოეული ადამიანის უზენაესი მნიშვნელობის დამადასტურებელი დასკვნა გამოაქვს:

“იწვის ჩემი მზის სითამამეში
სული ჟამიდან ჟამში მდინარი.....
ჩემში გრძელდები:
შენ – გილგამეში,
შენ – პრომეთე და
შენ – ამირანი!”

(იქვე)

თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ ნაშრომში კ. კორძაია ასე განმარტავს ქართულ ეროვნულ ცნობიერებას: “მას უპირველეს და უმთავრეს იდეალად და ლირებულებად სამშობლო ჰყავს დასახული და წარმოსახული. ... მისთვის არაფერი არ არის ისე ღვთაებრივი, ისე წმინდა, ისე მოსაფერებელი, ისე ხელიხელსაგოგმანებელი, ისე იდუმალი ნათელმოსილი, როგორც სამშობლო... ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის ლირებულებათა ცხრილის სათავეში სამშობლო დგას”. ეს პათოსი აშკარად ხელშესახებია პოეტის შემოქმედებაში:

“გცოცხლობ და ვიღვწი
გონების მიერ
მცნებად აღთქმული
სამშობლოს წიაღ,
სამშობლო - მცნება, რომელსაც ქვეყნად
უპირველესი სიმაღლე ჰქვია.

(“სამშობლო - მცნება”)

პოეტისათვის თვითი ქართული მიწის, ქართული სიტყვის, ზოგადად ქართული კულტურისა, ეს სამყარო წარმოუდგენელია. ის მუდამ იყო, არის და იქნება. მეტიც, ეს რეალობა პოეტისათვის მთელი სამყაროს აღქმისა და გააზრების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. მან იცის, მიაგნო, თუ რატომ გადარჩა, რატომ და რისთვის არსებობს საქართველო:

“ახლა ცხადია როგორ გადარჩი,
ისიც ცხადია – რისთვის გადარჩი,
ოქროს ციხიდან ელვარებს ზარზმა
და მზე ლოცულობს ზარზმის ტაძარში.”
(“ოქროს ციხიდან”)

ხოლო სხვა ლექსში:

“გასძელ!
გადურჩი ცეცხლსა და დელგმას,
მირიად ხანძარს ელდის და მეხის
და გასძელ, რადგან მაღალ სულს შენსას
უნდა შეექმნა პოემა ვეფხვის.

ცოცხლობ!
მიღიხარ და მიაბიჯებ,
გზებზე გინთია უსაზღვროება,
და სულ გაუძლებ დროის ქარიშხლებს,
რადგანაც შეპქმნ ვეფხვის პოემა”.

(“ტრიპტიქი: საქართველო”)

საოცრად ამაღლებულია ჭ. კორძაიას შემოქმედებაში ქართული ენის მოტივი. მისი ღვთიური წარმომავლობის ხოტბა მართლაც რომ გალობასავით ჩაესმის მკითხველს. პოეტი გვახსენებს, რომ პირველად იყო სიტყვა და ეს სიტყვა ღვთის სიტყვა იყო („პირველთვან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“, იოანე 1.1) და როგორც ამ პირველი სიტყვით იშვა მთელი სამყარო, ისე ქართული სიტყვიდან იშვა სრულიად საქართველო. დიახ! სწორედ ღვთიური ქართული სიტყვიდან, რადგან ქართული ენის წიაღში არის დავანებული ქართული სულის, ქართული აზრის, ქართული ფიქრის საიდუმლო. ასეთია ქართული ენა, როგორც „გულის, გრძნობის და ლოგოსის ტრიადა“. სწორედ მან – ქართულმა სიტყვამ - შეკრა ქართულ მიწად ეს ქვეყანა ფრიადი. კითხულობ ამ სტრიქონებს და გაგონდება გიორგი მერჩულეს სიტყვები „გრიგოლ ხანცოელის ცხოვრებიდან“, სიტყვები, რომლებიც ქართული ენის უდიდეს როლზე მიუთითებს ქართველი ერის ჩამოყალიბების საქმეში: „ქართლად ფრიადი ქვეყანავ

აღირიცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“:

2002 წელს გამოცემული საიუბილეო რჩეულის ყდას ამჟევენებს პოეტის ერთსტროფიანი შედევრი:

“და ჩემი სიცოცხლის ხედრად:
სამყარო, სამშობლო, შენ და
სამყარო აუხსნელი, სამშობლო დაუხსნელი,
შენ - ჩემი ფიქრი და სევდა!”

ეს “შენ” - საყვარელი ქალის სახება, სიყვარული - ჯ. კორძაიას პოეზიაში სამყაროს და საკუთარი თავის შეცნობის ყველაზე ჭეშმარიტი საშუალებაა.

“ქუჩაზე მიდის მზისფერი ქალი,
ქალი, რომელმაც შექმნა პოეტი”....

და ასე ხელახლა დაბადებული პოეტისაგან კი ცხადია, მოულოდნელი აღარ უნდა იყოს მსგავსი აღსარება:

“იმ სიმაღლიდან,
მე რომ შენზე ფიქრში ავედი,
სამყარო მოჩანს,
როგორც შენზე ფიქრის ფრაგმენტი”.

ან ეს, ასე მშობლიურ ფონზე გამხელილი:

“მიყვარხარ ისე, როგორც არასდროს
არ ჰყვარებია არვის არავინ,
.... და აგვისტოს ცის მაღალ ფარაონს –
მზეს – გადუხსნია ცა უთვალავი.
და ქარვისფრად ანთია ჯვარი,
სივრცე იშლება როგორც მარაო,
მიყვარხარ ისე, ...ისე ვით არვის
არ ჰყვარებია არვინ არასდროს”.

ჯანსუდ კორძაიას მეგობარს, ცნობილ ფილოსოფოსსა და ესთეტიკოსს რომან შენგელიას ჰქონდა “ესსევ“-ის ასეთი განმარტება: „მხატვრულად მოთხოვობილი და ლირიკულად შეფასებული ნამდვილი ამბავი“. ამ თვალსაზრისით ჯ. კორძაიას ლექსების ციკლის “1937” ერთი ნაწილი – „ტყვია რომელიც ჩემთვის მზადდება (პ. იაშვილი)“, „სამყაროს სიკეთილი (ე. მიქელაძის ხსოვნას)“, „ტიციან ტაბიძის უკანასკნელი დამე“ – გამორჩეული სიტყვაა ქართულ პოეტურ ესეისტიკაში. მისი “გალაკტიონი (პოეტური ესსე)” კი განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს. ამ ლექსში გადმოცემულია “ნამდვილი ამბავი”: როგორ შექმნა გალაკტიონმა მანამადე არარსებული სამყარო, სამყარო ემოციის, ამაღლებული სულიერების, განსხვავებული რიტმისა და გრძნობის სამყარო. ეს “ნამდვილი ამბავი” კიდევ

უფრო ნამდვილი ხდება იმით, რომ ჯ. კორძაიამ მას პრაქტიკულად მხოლოდ გალაკტიონისავე სიტყვებით გვიამბობს:

“მოედო ახალ სიცოცხლის ტალღად,
და, როგორც მაღალ ზრახვათა მეფემ,
შექმნა ქვეყანა ისევ და ახლად,
შეყვარებულმა და მეოცნებემ.
გაჩნდა სამყარო! ჰორიზონტიდან
ზენიტზე მაღლა გადაშლილ გზებზე,
შორი ალპების წყაროზე წმინდა,
უდიადესი სამხრეთის მზეზე...”

ჯანსუდ კორძაიას პოეზია უპირველესად ფიქრის, განსჯის, პოეზია. მის ყველა სტრიქონს აქვს თავისი კონკრეტული სათქმელი. პოეტს სურს, რომ მაღალი ზნეობისა და ნათელი ოცნების სამრეკლოდან მის მიერ დანახული, აღმოჩენილი ან სულაც გამოგონილი რეალობა ჩვენც დაგვანახოს, გაგვინაწილოს. თითქოს რითმა, ლექსის შინაგანი მუსიკა აქ მეორეხარისხოვანია. თუმცა, პოეტს აქვს ისეთი სტროფებიც, რომელიც მას სწორად რითმისა და რიტმის ოსტატად წარმოგვიდგენს:

“..... დავითი მზე და მიწა ქართული
ხმალით და მკლავით ამრავალწილა
და სამშობლოსთვის ხმალშემართული,
იქცა ქართული მიწის ნაწილად. . .”.

(”სულხან-საბა თრბელიანის გახსენება დავით აღმაშენებლის საფლავთან გელათში”).

ან თუნდაც ასეთი უსათაურო:

”ფიქრთან, რომელიც წამით მიწყდება,
იწყება ფიქრი, ფიქრი მეორე,
და ის მეორეც, რადგან იწყება,
შენიო იწყება და გიმეორებს,
შენ გიმეორებს, როგორც ბიბლიას,
დაუსაბამოს და უთარიდოს,
რადგანაც ჩემს ფიქრს არ შეუძლია,
იყოს, და შენზე ფიქრი არ იყოს!”

ასეთია — აზრით, სიბრძნით, სიდრმით, სიმართლითა და სინათლით გამორჩეული ეს მშვენიერი ლექსთა კრებული. ამ წიგნის ანალიზი გვინდა დავასრულოთ პოეტისავე სიტყვებით, რომლებიც მან დიდი გალაკტიონის მისამართით თქვა: „მან პოეტური არდარიდებით სამყაროს შრეთა ასწია ფარდა“. გვინდა ასე დავამთავროთ იმიტომ, რომ ეს სიტყვები კარგად ესადაგება თვით ჯანსუდ კორძაიას, რამეთუ მან, პოეტმა და ფილოსოფოსმა, სწორედ რომ პოეტური არდარიდებით სამყაროს უღრმეს შრებში ჩაგვახედა, ადამიანის სულის იდუმალ მოძრაობას ახადა ფარდა, რაც ჭეშმარიტ პოეტებს ხელეწიფებათ მხოლოდ.

რაც შეეხება თავად სულს, მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეუძლია მოგვცეს სულის ამგვარი “დეფინიცია”:

“სული საგანძურია ნატიფ მარგალიტების,
მისი ქვესკნელებიდან ამოტყორცნილ კითხვების. . .”

(“სული საგანძური”)

ასევე უაღრესად საინტერესოა პოეზიის მისეული განმარტება”

“სითამამით გამოსტაცა ფრთხი ჟამთა ბუნებას”

და ყველაზე ადრე გასცდა მიწის მიზიდულობას.”

(“პოეზია”)

ადამიანი თავის თავს ეძებს. თვითშემეცნების ეს პროცესი კი აუცილებლად გულისხმობს იმის გააზრებასაც, თუ “სად ვარ ყველაზე უფო მაღალი?”

წაიკითხეთ ჯანსუდ კორძაიას ლექსები და თქვენ ხელახლა აღმოაჩენთ თქვენთვის თითქოს კარგად ნაცნობ, მაგრამ თურმე უცნობ სამყაროს და, რაც მთავარია, ხელახლა აღმოაჩენთ საკუთარ თავსაც ამ სამყაროში.

რეგაზ ბალანჩივაძე